

# ეკთ ენაზე მოღვაწეობენ პროპაგანდა:

„SPUTNIK საქართველო“ კომპანია და  
პეკინის ინფორმაციის სამსახურში



# საკჩეპი

ფაქტები, რომელსაც ვერ წაიკითხავთ „სპუტნიკ-საქართველოს“ გვერდზე .....	6
ანაკლიის პორტი - ნარატივი ჩინეთის სასარგებლოდ და აშშ-ის კრიტიკული ჩარჩო ..	8
რას წერდნენ კრემლის მედია-საშუალებები ანაკლიასთან დაკავშირებით აშშ-ის პოზიციაზე? .....	11
როგორ ამუშებდა „სპუტნიკ საქართველო“ ანაკლიის საკითხს?.....	12
გადავადების და დაპირებების დინამიკა: სკეპტიციზმის სტრუქტურა „სპუტნიკის“ მასალებში .....	14
როგორ ამუშებდნენ კრემლის მედია-საშუალებები ანაკლიის პორტის პროექტს? ანაკლიის პორტის პოტენციალის დისკრედიტაციის მცდელობები .....	15
დასავლური კონსორციუმი მედიის ობიექტივში: „სპუტნიკის“ კრიტიკული გაშუქება“ ..	17
პროპაგანდა და რეალობა - რას ამბობდნენ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრები ანაკლიის პორტის აშენებაზე ? .....	20
მედიისა და არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაცია: „სპუტნიკის“ ნარატივი აშშ-ის საელჩოს წინააღმდეგ .....	22
დასავლეთის ორმაგი სტანდარტები“ - „სპუტნიკი“ ანაკლიის პორტის ჩინური პარტნიორობის მხარდასაჭერად .....	26
რუსული მედია-საშუალებების კონსპირაციული თეორიები ანაკლიის პორტში ამერიკელების ჩართულობის შესახებ .....	29
ანაკლიის პორტის მედია-ნარატივის ქრონოლოგია ‘სპუტნიკის’ სტატიების მიხედვით (2019–2024) .....	31
მიგნებები .....	33
ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის პროექტის თაიმლაინი .....	34
მუდმივად გადადებული პროექტი - როდის დასრულდება ანაკლიის პორტის მშენებლობა ? .....	39

კრემლთან დაკავშირებული მედია „Sputnik საქართველო“<sup>1</sup> საქართველოში მოქმედ პროპაგანდისტულ მედიასაშუალებებში რუსული საინფორმაციო გავლენის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პლატფორმაა. ამ პლატფორმის საქმიანობა ქვეყნის საინფორმაციო გარემოზე როგორც პრორუსული, ასევე სამთავრობო მიდგომების გააქტიურებით გამოირჩევა.

მედიის სარედაქციო ხაზი ძირითადად ეფუძნება დასავლეთის კრიტიკას და პარალელურად რუსული პროპაგანდის გავრცელებას. „სპუტნიკ საქართველო“ მუშაობს რუსეთიდან პოლიტიკურად მართულ გავლენიანი მედიასისტემის ფარგლებში.

პლატფორმა ხელს უწყობს „ქართული ოცნების“ ნარატივების გავრცელებას, რაც დამატებით აძლიერებს მის სამთავრობო პოზიციასთან სიახლოვეს. თითქმის არასოდეს აშუქებს რუსეთთან, ჩინეთთან და „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულ კრიტიკულ ინფორმაციებს ან ამბებს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებში „Sputnik“ და მასთან დაკავშირებული მედიასაშუალებები მოხსენიებულია როგორც კრემლის მიერ დაფინანსებული და პოლიტიკურად მართული პროპაგანდისტული პლატფორმები, რომლებიც არ ფუნქციონირებენ დამოუკიდებელი მედიის პრინციპებით. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში *„RT and Sputnik’s Role in Russia’s Disinformation and Propaganda Ecosystem“* აღნიშნულია, რომ „Sputnik“ წარმოადგენს რუსეთის სახელმწიფო დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ეკოსისტემის კრიტიკულ ელემენტს და მოქმედებს როგორც კრემლის საგარეო პოლიტიკური მიზნების მხარდამჭერი „მედიაიარაღი“, რომელიც მიზანმიმართულად ავრცელებს მანიპულაციურ და მცდარ ნარატივებს საერთაშორისო და ადგილობრივ აუდიტორიებზე ზემოქმედების მიზნით.“

ასევე, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირის (EU) და ISFED-ის მხარდაჭერით მომზადებულ ანგარიშში - *„მედიის გაშუქების კვლევა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე“* აღნიშნულია, რომ „სპუტნიკ საქართველო“ აშკარად იყო გადახრილი სამთავრობო პოზიციისკენ და წარმოადგენდა მიკერძოებულ მედიასაშუალებას, ხოლო არჩევნებთან დაკავშირებული სიახლეების გაშუქებისას პლატფორმა ავრცელებდა ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც ემსახურებოდა „ქართული ოცნების“ და მთავრობის ინტერესებს.


---

1. „სპუტნიკი“ საქართველოში ოფიციალურად 2015 წლიდან ფუნქციონირებს და წარმოადგენს რუსული „სპუტნიკის“ ადგილობრივ ვერსიას. მისი მიზანია რუსული რბილი ძალისა და დეზინფორმაციის გავრცელება. (საერთაშორისო დონეზე „სპუტნიკი“ ოპერირებს 30 ენაზე, მათ შორის აფხაზურ ენაზეც.) თუმცა საქართველოში „სპუტნიკ საქართველო“ პირველად 2014 წლის ნოემბერში გამოჩნდა, როგორც რადიო საშუალება, სიხშირეზე FM 101.4, თუმცა, საქმიანობა მალევე შეუჩერეს და 2015 წლის 23 იანვარს მედიამ ოფიციალურად დაარეგისტრირა კომპანია Sputnik-Georgia LLC, მალევე შექმნა საინფორმაციო სააგენტო.


გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა დაფუძნებული იყო ერთ ნყაროზე, იყო დაუბალანსებელი და მიკერძოებული. ანგარიშში აღნიშნულია, რომ პლატფორმა ხშირად იყენებდა მანიპულაციურ სათაურებს და ჰომოფობიურ თუ დისკრიმინაციულ მესიჯებს.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კრემლის მიერ მართული პროპაგანდისტული მედიაქსელი საქართველოში აღარ ემსახურება მხოლოდ რუსულ ინტერესებს. თანამედროვე საინფორმაციო ომის პირობებში, „Sputnik საქართველოს“ შინაარსი თანხვედრაშია ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო სტრატეგიებთანაც, რაც მიუთითებს ავტორიტარული სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთასა და კოორდინებულ საინფორმაციო ზემოქმედებაზე. შედეგად, „Sputnik საქართველო“ ფუნქციონირებს როგორც მრავალვექტორული გავლენის პლატფორმა, რომელიც ერთდროულად ემსახურება როგორც კრემლის, ისე ჩინეთის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების მხარდაჭერას.

„სამოქალაქო იდეას“ მონიტორინგის ინტერესის საგანი „სპუტნიკ საქართველო“ გარდა მისი პრორუსული სარედაქციო პოლიტიკისა, იმ მიზეზითაც აღმოჩნდა, რომ **მედია განსაკუთრებით აქტიურად აშუქებს ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის საკითხს**. წლების განმავლობაში „სპუტნიკ საქართველო“ მიზანმიმართული მანიპულაციური მასალებით ცდილობდა დასავლეთის „სუსტ და არამდგრად“ აქტორად წარმოჩენას. ჩვენი მონიტორინგის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ რუსული ნარატივების გავრცელებასთან ერთად, **„სპუტნიკ საქართველო“ ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების პოპულარიზაციის მნიშვნელოვან არხადაც ფუნქციონირებს**.



**მედია აუდიტორიას ჩინეთს მუდმივად წარმოუდგენს პოზიტიურ, პროგრესულ და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის გარდაქმნისთვის აუცილებელ ძალად, რომელიც დასავლეთის „სუსტი და არამდგრადი“ მოდელის ალტერნატივას გვთავაზობს.**



**დასავლეთის კრიტიკა და დისკრედიტაცია რეგულარულად ერწყმის ჩინეთის „მოქმედი, სტაბილური და პატივსაცემი პარტნიორის“ იმიჯის გამყარებას.**

„სპუტნიკი“ აქტიურად იყენებს მანიპულაციურ ანალიტიკურ სტატიებს, ვიდეოგრაფიკებსა და სარედაქციო კომენტარებს, რომლებიც ერთიანი საინფორმაციო კონსტრუქციის ნაწილად გვევლინება და ეს კონსტრუქცია ეფუძნება აზრს, რომ **გლობალური გეოპოლიტიკური ცენტრი იცვლება, ჩინეთი და რუსეთი კი, ამ პროცესში წამყვანი მოთამაშეები არიან**.

მონიტორინგის პერიოდში ( 01.01.2025-10.11.2015 ) „სპუტნიკ საქართველო“ ანაკლიის პორტის საკითხს პოლიტიკურ-დიპლომატიური და ეკონომიკური თანამშრომლობის ჭრილში აშუქებდა. თუმცა, გაშუქების ძირითადი ტონი უმეტესად ემსახურებოდა პრორუსული ნარატივის განმტკიცებას. მაგალითად, სისტემატურად გვხვდება ამბები იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა „იძულებული გახდა პეკინი ჩაერთო“ პროექტში, რათა მეგაპროექტი „მკვდარი წერტილიდან“ დაძრულიყო. ამ გზით „სპუტნიკი“ ცდილობდა, ეჩვენებინა როგორ გარდაიქმნება რეგიონალური გეოპოლიტიკა და ვინ არის წამყვანი მოთამაშე სამხრეთ კავკასიაში.



ერთ-ერთ მასალაში ვიდეოგრაფიკის ფორმატში რედაქცია გვთავაზობს მსჯელობას თემაზე: „ჩინეთი ამერიკის წინააღმდეგ. ვის დარჩება ანაკლიის პორტი?“ და პორტის განვითარებას აშშ-ჩინეთის დაპირისპირების კონტექსტში განიხილავს, და მორიგ ჯერზე კრემლის სტრატეგიულ ნარატივს გვთავაზობს: „**საქართველო იძულებულია პეკინს მიმართოს, რადგან დასავლეთი მხარდამჭერ ნაბიჯებს არ დგამს**“.

ამავე საინფორმაციო ხაზს ემსახურება პარლამენტის ვიცე-სპიკერის **სოზარ სუბარის** განცხადებაც, რომელიც „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პოზიციის ანარეკლია. დეპუტატის შეფასებით, ამერიკული კომპანიების არასაკმარისი დაინტერესების ფონზე, ჩინური კომპანიის მონაწილეობა საქართველოსთვის ეფექტიანი და მომგებიანია, ხოლო ნებისმიერი შესაძლო „ამერიკული ულტიმატუმი“, რომელიც ხელს შეუშლის ჩინეთის ჩართულობას, მისთვის მიუღებელია. „სპუტნიკი“ იმავე შინაარსის განცხადებას გვთავაზობს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **პაატა კვიციანი**ისგან:



“სამწუხაროდ, ამერიკელები და ევროპელები არ დაინტერესებულან ანაკლიის პორტის პროექტით... ანაკლიის პორტს არ აქვს არავითარი აზრი ჩინური ტვირთის გარეშე... ჩინეთი შუა აზიის ყველაზე დიდი ინვესტორი და, შესაბამისად, რეგიონში ყველაზე დიდი გავლენის მქონეა... ამიტომ ეს (ჩინური კომპანიის მონაწილეობა პროექტში - რედ.) არის სტაბილურობა და ეს არის გარანტირებული ტვირთი, რომლის პრობლემაც იყო“.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ნარატივში რეალობა შეგნებულად არის დამახინჯებული, ხოლო არსებითი ფაქტები უგულვებელყოფილი. **პროპაგანდისტული მედიის მონათხრობში სრულად გამქრალია ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის საქმის მთავარი მდგენელი, ერთ-ერთი საკვანძო გარემოება, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გამოგონილი ბრალდებებისა და სისხლის სამართლის საქმით, ქართულ-ამერიკული კონსორციუმში აიძულა საქმიანობა შეეჩერებინა ქვეყანაში.**



„როდესაც ჩვენი ოპოზიცია ხმაურობს, მაგალითად - ჩინური კომპანია შემოვიდეს თუ არა ანაკლიაში, პასუხი არის მარტივი - ჯერ ერთი **ამერიკელებს არანაირი ინტერესი არ გამოუვლენიათ ამ პორტის მიმართ...** ეკონომიკური თვალსაზრისით ჩინური კომპანიის შემოსვლა უფრო მომგებიანია... **რაც შეეხება ამერიკულ კომპანიებს, მათ ამდენი ხანი არ გამოავლინეს ინტერესი** და არა მგონია, რომ ახლა გამოავლინონ. შესაბამისად, საკითხი ასე კი არ დგას, ამერიკელი ინვესტორი ჯობია თუ ჩინელი, არამედ საკითხი დგას შემდეგნაირად: როგორ ვიქცევით იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები გვეტყვიან - **ჩვენ არ შემოვდივართ, არ გვაინტერესებს ეს პორტი**, მაგრამ ჩინელები არ შემოუშვათ, რადგან მათთან სავაჭრო ომი გვაქვსო. პირადად ჩემი პასუხი ასეთ შემთავაზებაზე არის - არავითარ შემთხვევაში! ეს პორტი სჭირდება საქართველოს. რადგან სამაგიეროდ რას ვიღებთ? - არაფერს! შესაბამისად, ეს არის არა შემთავაზება, არამედ ჩვენთვის საზიანო და მიუღებელი ულტიმატუმი, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი უნდა ვთქვათ.“



ამგვარი პოზიციონირება და რეალობის გაყალბება, ცხადყოფს, რომ როგორც „სპუტნიკ საქართველო“, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები ავითარებენ ერთიან საინფორმაციო და პოლიტიკური ხაზს, სადაც თემის გაშუქება სრულად ემთხვევა კრემლის ნარატივს, ხოლო კონკრეტულად ანაკლიის პორტის გაშუქება ემსახურება არა ობიექტური საინფორმაციო უზრუნველყოფის, არამედ გეოპოლიტიკური პროპაგანდის ამოცანებს.

შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ „სპუტნიკ საქართველო“ არა მხოლოდ რუსული რბილი ძალის აქტიური არხია საქართველოში, არამედ წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც მიზანმიმართულად აერთიანებს პრორუსულ ნარატივებს, სამთავრობო ინტერესებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სტრატეგიულ პოპულარიზაციას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის საინფორმაციო გარემოზე.

## შეჯავი, რომელსაც ვეი ნაიკითხავთ

### „სკუზნიკ-საქათვიდოს“ გვერდი:

კრემლის მიერ მართული მედია-საშუალებები ხშირად ცდილობენ მანიპულაციას ნარატივით, რომ დასავლეთი ანაკლიის პროტით არ დაინტერესებულა. თუმცა, გასული წლების მანძილზე, როგორც ამერიკის, ისე ევროპის ლიდერებმა პროექტის კრიტიკული მნიშვნელობის შესახებ არაერთი განცხადება გააკეთეს:

2019 წელი

ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა, ანაკლიის პროტთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას ყურადღება გაამახვილა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. “ნატო, რა თქმა უნდა, აცხადებს ინტერესს შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოებაზე. მათ შორის, ვმუშაობთ საქართველოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე. ნატო-ს ორი ხომალდი არის შავი ზღვის აკვატორიაში – დიდი ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან. მნიშვნელოვანი აქცენტები კეთდება თურქეთზე, რუმინეთზე, ბულგარეთზე. ჯამში, გაზრდილია ჩვენი აქცენტები შავი ზღვის რეგიონში. საქართველოსთან ვმუშაობთ, რომ გამოწვევები იყოს დაძლეული”.

2019 წელი

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ განაცხადა: „იმედი მაქვს, რომ საქართველო დაასრულებს (ანაკლიის) პროტის პროექტს. ეს და სხვა პროექტები გააძლიერებს საქართველოს ურთიერთობას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან და თავიდან ააცილებს საფრთხეს, გახდეს რუსეთისა და ჩინეთის ეკონომიკური გავლენის მსხვერპლი. ამ მოჩვენებით მეგობრებს საქართველოს ინტერესები არ ადარდებთ”

2019 წელი

ნატოს გაერთიანებული საზღვაო სარდლობის მეთაურმა, სერ კლაივ ჯონსთონმა, აღნიშნა: “ზოგადად, ღრმანყოფიანი პროტის მშენებლობა ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და საქართველოსთვის, ამგვარ პროექტში ინვესტირება, შესანიშნავია... პროტმა შესაძლოა ქვეყანას მოუტანოს ეკონომიკური სიძლიერე და სტაბილურობა, რომელიც გააძლიერებს მის უსაფრთხოებას და ნებისმიერ რამეს, რასაც ქვეყნის უსაფრთხოებაში ნვლილი შეაქვს.”

2022 წელი

საქართველოში ამერიკის ელჩმა, **კელი დეგანმა**, Europe-time-თან ინტერვიუში **განაცხადა**: “ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ანაკლიის ღრმანყოფილ პორტის განვითარებას, რომელიც საქართველოს განვითარებისთვის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს. ეს იქნება უდიდესი წვლილი, რამდენადაც საქართველო განავითარებს საკუთარ როლს შუა დერეფანში.”

2023 წელი

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირმა, Europe-time-თან **ინტერვიუში** აღნიშნა, რომ აშშ მხარს უჭერს ანაკლიის პორტის განვითარებას.

2023 წელი




აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში, **ჯიმ ო'ბრაიენმა**, ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ქვეკომიტეტის შეხვედრაზე **აღნიშნა**: “კრიტიკული ინფრასტრუქტურა არ უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოებს, რომლებიც გაძარცვავენ ან მოისყიდავენ იმ ქვეყნებს, სადაც ისინი ოპერირებენ და ეს მოიცავს საპორტო ობიექტებს, როგორცაა ანაკლია... ამერიკის განვითარების საფინანსო ინსტიტუტმა გამოყო ძალიან დიდი სესხი ფოთის პორტში არსებული ობიექტისთვის... ჩვენ ვმუშაობთ, რომ საქართველოში ეს ობიექტები განვავითაროთ, რომ მათ შეეძლოთ საქონლის უფრო მეტ ბრუნვასთან გამკლავება.”

ნატოს და აშშ-ის მაღალი რანგის ოფიციალური პირების ზემოთ წარმოდგენილი განცხადებები ადასტურებს, რომ დასავლეთში ანაკლიის პორტის მშენებლობის მიმართ ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა და ინტერესი არსებობდა.

# ანაკლიის პორტი - ნაკაზივი ჩინეთის სასაზღვროდ და აშშ-ის კივივილი ჩაჩრო

მონიტორინგის პერიოდი: 01.01.2025 – 10.11.2025 და 2015-2024 წლები  
მედია: „Sputnik საქართველო“  
მასალის რაოდენობა: 215

მონიტორინგის შედეგებით, ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის საკითხის გაშუქებისას, „სპუტნიკი“ სხვა სახელისუფლებო მედიების მსგავსი ნარატივებით ხელმძღვანელობს, თუმცა შედარებისას აშკარაა რომ მათი თხრობა კიდევ უფრო მწვავე და მკვეთრია. ეს გარემოება, სავარაუდოდ, უკავშირდება რუსული მედიის ინტერესს, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ფრაზეოლოგია და გზავნილები კრემლის ნარატივებთან სტრუქტურულად და შინაარსობრივად დააკავშიროს.

<p><b>SPUTNIK საქართველო</b></p> <p><b>საქართველო თავად გადანყვეტს, ვისთან ერთად ააშენოს ანაკლიის პორტი - კალაძე</b></p> <p>15:40 04.04.2025 (განახლებულია: 12:20 03.05.2025)</p> 	<p><b>SPUTNIK საქართველო</b></p> <p><b>შეაფერხებს თუ არა ჩინური ინვესტიციები საქართველო-ამერიკის ურთიერთობების „გადატვირთვას“?</b></p> <p>14:59 16.04.2025</p> 	<p><b>SPUTNIK საქართველო</b></p> <p><b>ჩინეთი ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინური კომპანიის მონაწილეობას მიესალმება</b></p> <p>21:20 10.12.2015 (განახლებულია: 15:12 20.07.2023)</p> 
---	--	--

კერძოდ, თუ ხელისუფლების მიმართ ლოიალური არხები, ძირითადად, ჩინურ ინვესტიციებს წარმოაჩინენ როგორც სტრატეგიულ შესაძლებლობას, „სპუტნიკის“ მასალებში ამას მუდმივად ერთვის აშშ-ს მკვეთრი, სისტემური და განმეორებით ხაზგასმული კრიტიკა. მედიის სარედაქციო ხაზი არა მხოლოდ იმეორებს, არამედ რადიკალიზებულ ფორმულირებებამდე დაჰყავს ქართული სახელისუფლებო მედიის ნარატივები:

- ჩინური ინვესტიციები - სტრატეგიული და სასურველი,
- აშშ-ს კრიტიკა - „ბლოკირება“, „ზენოლისა და გარე ჩარევის“ მცდელობა.

სტატია „ანაკლიის პორტის პროექტი: როდის მოაწერს ხელს საქართველო შეთანხმებას ჩინელ ინვესტორთან“ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოაჩინს „სპუტნიკის“ სარედაქციო პოლიტიკას და დამოკიდებულებას კერძოდ, სტატიაში ჰელსინკის კომისიის განცხადებიდან მოყვანილი ციტატა

წარმოდგენილია, როგორც აშშ-ს „რეპრესიული“ და „იძულების პოლიტიკის“ მაგალითი. ცალკე ქვეთავია - „აშშ ჩინური კონსორციუმის წინააღმდეგ“, სადაც, რაღა თქმა უნდა, ამერიკელების შეფასებები წარმოჩენილია, როგორც გარე ჩარევა, ჩინეთის მოქმედებების კი არა მხოლოდ როგორც თანამშრომლობა, არამედ როგორც **დასავლური კონტროლისგან გათავისუფლების შესაძლებლობა**.

ლეგიტიმაციისთვის სტატია იმონებს საქართველოს ვიცე-პრემიერ ლევან დავითაშვილს (9.02.2024 – 24.06.2025 წწ), რომელიც ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმთან დაკავშირებით დასმულ კითხვებსა და ნუხილებს “მანიპულირება-სპეკულაციების” საგნად და “საზოგადოების შეცდომაში შეყვანად” აცხადებს. აქვე ბატონი დავითაშვილი გვამცნობს, რომ “კონსორციუმის წინადადება არის რეალისტური და პერსპექტიული” და “ინვესტორთან შეთანხმება 2025 წლის შემოდგომამდე უნდა გაფორმდეს”.

**ცნობისთვის, 2024 წლის მაისში დაანონსებული ხელშეკრულება 2025 წლის დეკემბერში ჯერ კიდევ არ არის ხელმოწერილი, რაც მის განხორციელებასთან დაკავშირებულ პერსპექტივებს საეჭვოს ხდის.**

„სპუტნიკმა“ ამ თემაზე კიდევ ერთი მასალა გამოაქვეყნა - „შეაფერხებს თუ არა ჩინური ინვესტიციები საქართველო-ამერიკის ურთიერთობების „გადატვირთვას“? რომელიც ტექსტთან ერთად, ვიდეოგრაფიკასაც შეიცავს და გვიყვება, რომ **ამერიკა თბილისზე პოლიტიკურ ზეწოლას ახორციელებს** და შესაძლოა მომავალში საქართველოსგან გარკვეული დათმობებიც მოითხოვოს, თუმცა, **თბილისი „აღმოსავლეთით იყურება“ და ვერ დათმობს საკუთარ სუვერენიტეტს**.

ვიდეოგრაფიკის ტექსტი: „**ჩინეთი ამერიკის წინააღმდეგ: ვის დარჩება ანაკლიის პორტი?** საქართველოს მთავრობა აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვის მზადყოფნას აცხადებს, მაგრამ შეძლებს კი თბილისი აშშ-თან შერიგებას, მიუხედავად იმისა, რომ ანაკლიის პორტის მეგაპროექტი კონკურენტ ჩინეთს გადასცა? გთავაზობთ სტატიის გზავნილებს, რომელიც ერთგვარ ლაიტმოტივად გასდევს სპუტნიკის სტატიებს.

პროექტს ამერიკა აღიქვამდა, როგორც რუსულ-ჩინური სავაჭრო გავლენების საპირწონეს, თუმცა ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა დასავლური დაფინანსების მოძიება ვერ შეძლო და 2020 წელს მშენებლობაზე უფლება დაკარგა.

მთავრობა **იძულებული გახდა** პეკინი ჩაერთო, რათა მეგაპროექტი მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო.

უცნობია, რა რეაქცია ექნება აშშ-ს ჩინეთის გავლენის შესაძლო გაძლიერებაზე.

● თბილისი ვაშინგტონისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სივრცე არ არის, მაგრამ საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში მთავარი სტრატეგიული პარტნიორის დაკარგვა არ სურს. ამიტომ, ტრამპმა შესაძლოა, ურთიერთობების „გადატვირთვის“ სანაცვლოდ თბილისს გარკვეულ დათმობებზე ნასვლა მოსთხოვოს. მაგალითად, ანაკლიის პორტის სახით, სტატუსი „მეგობარი“ დაუბრუნოს.

● ვაშინგტონი ჯერ-ჯერობით არ ჩამოყალიბებულა. საქართველო კი, აქტიურად იყურება აღმოსავლეთისკენ. კითხვა შემდეგში მდგომარეობს: მზადაა თუ არა თბილისი ვაშინგტონთან „მეგობრობის“ სასარგებლოდ საკუთარი ინტერესი და სუვერენიტეტი დათმოს?“

სუვერენიტეტისა და „საგარეო ზემოქმედების“ წინააღმდეგობის ნარატივს ხშირად ეხმიანება თბილისის მერი, კახა კალაძე და, შესაბამისად, ხშირად ხვდება „სპუტნიკის“ ფოკუსში. კალაძე: „აშშ-ის ჰელსინკის კომისიის საქმე არ არის, ვისთან ითანამშრომლებს დამოუკიდებელი საქართველო ანაკლიის პირველი ღრმანყოფანი პორტის მშენებლობის პროექტზე, საქართველო თავად გადაწყვეტს, ვისთან ერთად ააშენოს ანაკლიის პორტი“.

მედიამ ცალკე სტატიად გაავრცელა ირაკლი კობახიძის განცხადება, სადაც ის გვპირდებოდა, რომ „ანაკლიის პორტი გაზრდის საქართველოს სატრანსპორტო როლს „შუა დერეფანში“.

„სპუტნიკის“ მიერ განსაკუთრებული ყურადღების ობიექტადაა ქცეული კონგრესმენი ჯო უილსონი, რომელიც საქართველოს მიმართ მხარდამჭერი პოზიციით არის ცნობილი. შესაბამისად, „სპუტნიკის“ დამოკიდებულება მის მიმართ უკიდურესად ნეგატიურია. იგი წარმოჩენილია როგორც, „დაქირავებული რუპორი“, „დემაგოგი“ და „ფულის სანაცვლოდ მოქმედი პოლიტიკოსი“.

### სტატიები:

“

ეს პოლიტიკური დემაგოგიაა! საქართველოში ჯო უილსონის განცხადებას მკაცრად უპასუხეს,

ჯო უილსონი MEGOBARI Act-ის ჩავარდნის შემდეგ საქართველოს კრიტიკას აგრძელებს - რეაქციები.

სტატიებში ძირითადად „ქართული ოცნების“ ლიდერების შეფასებებია გამოყენებული. მაგალითისთვის, პარლამენტის თავმჯდომარის, **შალვა პაპუაშვილის** განცხადება: „კონგრესმენი ჯო უილსონი არის დაქირავებული რუპორი, რომელიც ფულის სანაცვლოდ თავისი კრიტიკული განცხადებებითა და ინიციატივებით საქართველოს გარშემო საინფორმაციო ხმაურის შექმნას ცდილობს“. სტატიებში ქვესათაურებადაა გამოყოფილი „**ვინ არის ჯო უილსონი**“

# რას ნაჩვენავს ჩვენი მედია-საშუალებები ანაკლიასთან დაკავშირებით აშშ-ის კოზიციებზე?

## სტატიის #1

რუსული მედია-საშუალებების, **Известия**-ს 2020 წლის სტატიის მიხედვით, ივანიშვილის რეჟიმმა პორტის აშენების გადამწყვეტილება **ამერიკის ზენოლის** შედეგად მიიღო. კერძოდ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის ოფიციალურმა პირმა გამოხატა ინტერესი ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობის მიმართ. მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ პორტი შესაძლოა ნატოს წყალქვეშა ნაგებს გამოეყენებინათ.

## სტატიის #2

2025 წელს, რუსულმა მედიასაშუალებამ, **Вестник Кавказа** გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: **“აშშ საქართველოში ანაკლიის პორტის მშენებლობას აფერხებს”**. სტატიაში აღნიშნულია, რომ ამერიკა ანაკლიაში ჩინური კომპანიის ჩართულობის გამო შეშფოთებულია. სტატიის მიხედვით, ამერიკა შეეწინააღმდეგა მის მიერ სანქცირებული ჩინური კომპანიის პროექტში მონაწილეობას, რამაც სპეკულაციები და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გამოიწვია. თუმცა, სტატიის მიხედვით, “ქართული ოცნება” იძულებულია პორტი ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმს გადასცეს:

“ამერიკის ზენოლის მიუხედავად, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას სხვა ალტერნატივა არ აქვს: ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმი **China Communications Construction Company Limited** და **China Harbour Investment Pte. Ltd.** ერთადერთი კომპანიაა, რომელიც დაინტერესებულია პორტის განვითარების ინვესტირებაში.”

## სტატიის #3

2019 წელს, რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ, **TACC** გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: **“კარასინი ანაკლიის ქართულ პორტთან დაკავშირებით პომპეოს განცხადებას მიუღებლად მიიჩნევს”**. სტატიის მიხედვით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გრიგორი კარასინმა პომპეოს განცხადების საპასუხოდ განაცხადა:

“ჩვენ დაინტერესებული ვართ საქართველოში, მისი ეკონომიკით, სოციალური, კულტურული და სხვა სფეროების განვითარებით. **საქართველომ თავად უნდა გადაწყვიტოს თუ რას იზამს ანაკლიის პორტთან დაკავშირებით.** თუმცა, ჩვენ არ ვართ კმაყოფილნი რუსეთსა და ჩინეთთან დაკავშირებით გამოყენებული ტონით.”

# როგორ აუხეხა „სპუტნიკ საქართველო“ ანაკლიის საკითხს?

## „უსასრულო, მიზოვებური, ვეკ დაწყებული პროექტი“



2015 – 2024 წლების მედიამონიტორინგი

იმისთვის, რომ სრულყოფილად წარმოგვეჩინა, როგორ ჩანს ანაკლიის პორტის საკითხი „სპუტნიკ საქართველოს“ რადარზე, განვახორციელეთ მედიის დეტალური მონიტორინგი და ვებგვერდზე ანაკლიის ღრმანყოფილის პორტის თემაზე არსებული მასალების სრული არქივი შევისწავლეთ, 2015 წლიდან 2024 წლის ჩათვლით. პლატფორმაზე, მხოლოდ ამ თემაზე 200-ზე მეტი სტატიაა გამოქვეყნებული.

**SPUTNIK საქართველო**

**ჩინური კომპანია საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების მშებებლობით დაინტერესდა**

2015 წლიდან, „სპუტნიკი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჩინური კომპანიების დაინტერესებასა და ანაკლიის პორტის მშენებლობაში პირველი ჩინური კომპანიის - **POWER-CHINA-ს** ჩართვას. „სპუტნიკი“ ასევე, აქტიურად უკავშირებდა ანაკლიის პორტს „აბრეშუმის გზის“ ინიციატივას და ჩინურ ინვესტიციებს.

თითქმის ყველა მასალაში ჩანდა ჩინეთის სტრატეგიული ინტერესი და არცთუ იშვიათად გვხვდებოდა მსჯელობა იმაზე, რომ პროექტის გეოეკონომიკური მიზნები რუსეთისთვისაც იყო საინტერესო. თითქოს ანაკლიის პორტის წარმატება რუსეთსაც „ანყობდა“ - „თუ ყველაფერი კარგად წავა, პორტი რუსეთიდან ტვირთებსაც მიიღებს“.

მაგალითად სტატიები:



ჩინეთი ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინური კომპანიის მონაწილეობას მიესალმება,

ანაკლიის პორტი 30 000 ადამიანს დაასაქმებს,

ჩინური კომპანია საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობით დაინტერესდა,

,ღარიბაშვილი: საქართველოს შეუძლია აზია-ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა გახდეს,

ანაკლიის პორტის ყველა ფინანსური წყარო დაზუსტებულია.

თუმცა, ამ ერთი შეხედვით ოპტიმისტური აქცენტების პარალელურად, „სპუტნიკი“ სისტემურად საუბრობდა პროექტის პოლიტიზებაზე და ავრცელებდა ნარატივებს, რომლებიც პროექტის გრძელვადიან პერსპექტივებს ეჭვქვეშ აყენებდა. ასევე გამოკვეთილი იყო *მუდმივი „ქილიკი“ პროცედურულ გადავადებებსა და და შეუსრულებელ დაპირებებზე.*

„სპუტნიკი“ 2015 წელს წერდა: „კონკურსის საბოლოო შედეგები სექტემბრის ბოლოს უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა გამარჯვებულის გამოვლენა ჯერ ოქტომბრამდე, შემდეგ კი წლის ბოლომდე გადაიდო.“

2021 წლის სტატიაში აღნიშნავდა, რომ „თავდაპირველად პორტის მშენებლობის დაწყება 2016 წლის ზაფხულში იგეგმებოდა,“ და მორიგ გადადებას ანონსებდა. მედია ქმნიდა *„უსასრულო, მიტოვებული, ვერ დაწყებული პროექტის“ პორტრეტს.*

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში 2025 წელს მომზადდა და ვითარება არ შეცვლილა, გამარჯვებული კომპანია ჯერ ისევ არ გვყავს და პროექტის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

**„უსასრულო, მიტოვებული,  
ვერ დაწყებული  
პროექტი“**

# გადავადების და დაპირებების დინამიკა: სპეციფიკის სტრატეგია „სპუტნიკის“ მასალებში -

## ”პოკგი დიდია, მაგრამ არასდროს მზად“

„სპუტნიკი“ სისტემურად ახსენებდა მკითხველს ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყებასა და დასრულების გეგმებს და კონკრეტულ თარიღებს. პლატფორმა აქტიურად ავრცელებდა შეუსრულებელი დაპირებების და მშენებლობის გადავადებების დინამიკას. სისტემატურად ჩანდა ერთი გამეორებადი სტრუქტურა: ყოველი ახალი ვადით დაწყების დაპირება შემდეგი მასალით იყო უარყოფილი. მაგალითად, მედია წერდა, რომ ანაკლის პორტის მშენებლობა „2016 წლის ბოლოს დაიწყება“ და მომდევნო მასალები ავრცელებდა ცნობებს პროექტის მშენებლობის გადავადების შესახებ:

- 29.09.2016 • პრემიერი: ანაკლიის პორტის მშენებლობა წლის ბოლოს დაიწყება ,
- 24.06.2017 • ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის მშენებლობა 15 ნოემბერს დაიწყება,
- 11.10.2017 • ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება დეკემბერში გადაიტანეს.

მიუხედავად იმისა, რომ „სპუტნიკი“ პროექტს წარმოადგენდა როგორც ულტრა-ამბიციურს, აქტიურად აშუქებდა „აბრეშუმის გზის“ ფორუმს, საერთაშორისო ვიზიტებს და პორტთან დაკავშირებულ „მომავლის ხედვებს“, პარალელურად ქმნიდა სურათს, სადაც პორტი ერთდროულად **„დიდია, მაგრამ არასდროს მზად“**.

### მაგალითად სტატიები:

“

ანაკლიაში 10 ოჯახს ქონებას იძულებით ჩამოართმევენ,

საქართველომ ანაკლიაში ნავთობის ტერმინალის აშენებაზე უარი თქვა,

მაქინაციები ანაკლიის პორტის მშენებლობაში – მოსახლეობას მიწის ნაკვეთებს დაუბრუნებენ,

ანაკლიის პორტის პროექტი შეიძლება გადაიხედოს.

# როგორ აუხეხებენ კამერის მედია-საშუალებები ანაკლიის პორტის პროექტს? - ანაკლიის პორტის პროექტის დისკალიმაციის მსჯელობები.

## სტატია #1

Известия-ს 2020 წლის სტატიაში, სათაურით “რატომ ვერ ააშენა საქართველომ “სამეფო” პორტი: პროექტი ვერ დაიცვა ამერიკის დაჟინებულობამ” განხილულია ანაკლიის პორტის წარუმატებლობის მიზეზები. სტატია პროექტის წარუმატებლობას “ეკონომიკური გამოუსადეგობით” ხსნის:



ანაკლიის ისტორია ადასტურებს ერთ მარტივ ჭეშმარიტებას: მხოლოდ პოლიტიკური სურვილი არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად. მას თან უნდა ერთვოდეს ეკონომიკური გამოსადეგობის პრინციპები. ანაკლიაში კი, არ გადაწყვეტილა თუ რა რაოდენობის ტვირთის გატარება იქნება შესაძლებელი. ქართული საქონელი არ არის საკმარისი, რომ გაამართლოს 100 მილიონი ტონის გამტარუნარიანობის მქონე ახალი პორტის აშენება. ბათუმისა და ფოთის პორტებს შეუძლიათ არსებულ ტვირთებს გაუმკლავდნენ.

სტატია ავრცელებს არჩილ სიხარულიძის კომენტარსაც, რომლის მიხედვითაც “მთავრობამ შესაძლოა დაასახელოს ახალი ინვესტორი, თუმცა, წარმატება არ არის მოსალოდნელი.”

საყურადღებოა, რომ არჩილ სიხარულიძე ე.წ. “კვლევითი ინსტიტუტის”, SIKHA Foundation-ის დამფუძნებელია. Sputnik საქართველო მას მოიხსენიებს “პოლიტოლოგად” და “ექსპერტად.” მისი 2025 წლით დათარიღებული სტატია, სათაურით “*ალარ ხარ ჩემი ძმა*”: როგორ დაემდურნენ ერთმანეთს საქართველო და უკრაინა”, გამოქვეყნებულია სპუტნიკის ვებ-გვერდზე.

## სტატია #2

რუსულმა ონლაინ მედია-საშუალებამ, Tass.ru-მ 2024 წელს გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: “*საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის ტენდერი გამოაცხადა*”. სტატიის დასკვნით აბზაცში აღნიშნულია:



ეს უკვე საქართველოს მთავრობის მიერ ანაკლიის პორტის აშენების მეორე მცდელობაა.

Известия-ს 2024 წლის სტატიაში, სათაურით “ზღვა აღელვებულია: ჩინელები საქართველოში გიგანტურ საზღვაო პორტს აშენებენ” განხილულია პორტის მშენებლობის ისტორია, მიხეილ სააკაშვილის პერიოდიდან “ქართული ოცნების” ინიციატივამდე. ამჯერადაც ანაკლიის პროექტის წარუმატებლობის არგუმენტი იგივეა, იგი წარმოადგენს “არასაჭირო” ინიციატივას:

“

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ ყველა პრობლემა რეალურად გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ **ანაკლიაში პორტი უბრალოდ არასაჭირო იყო**. საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ მცირეა და ფოთსა და ბათუმში არსებული პორტები საკმარისი მისი საჭიროებებისთვის. ქვეყნის სატრანზიტო ჰაზად გარდაქმნის გეგმები ამ პერიოდში უადგილოდ მიიჩნეოდა. მაგალითისათვის, **ჩინური საქონლის ევროპაში ტრანსპორტირება რუსეთის ტრანს-ციმბირის რკინიგზით უფრო მარტივია**.

თუმცა, სტატიის მიხედვით, უკრაინაში რუსეთის “სამხედრო ოპერაციის” დაწყების შემდეგ, რუსეთში გამავალი ჩრდილოეთ დერეფნის ალტერნატიული მარშრუტის განვითარება აქტუალურ საკითხად იქცა. ამ კონტექსტში, სტატიის მიხედვით, თბილისი “ცდილობს” ამ ინიციატივას შეუერთდეს.

სტატიაში ციტირებულია **რუსი “პოლიტოლოგის” არტურ ატაევის** კომენტარი, რომლის მიხედვითაც, “ქართული ოცნება” პორტს აუცილებლად ააშენებს. საინტერესოა, რომ სტატიაში ანაკლიის პორტის აშენების საკითხი განხილულია არა როგორც რუსეთისთვის გეოპოლიტიკური საფრთხე, არამედ როგორც დასავლეთთან მოლაპარაკებებში, “ქართული ოცნების” სტრატეგიული ბერკეტი:

“

მთლიანობაში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია საქართველოსთვის. ჩვენს ქვეყანას შეუძლია არა მხოლოდ დამატებითი სარგებლის მიღება, არამედ შეუძლია, მოიპოვოს მნიშვნელოვანი ბერკეტი ამერიკასა და ევროკავშირთან დიალოგში.

## დასავლელი კონსოციუმი მედიის ობიექტებში: „სპუტნიკის“ კრიტიკული გაშუქება“

2016 წლიდან „სპუტნიკი“ აშუქებდა ქართულ-ამერიკული კონსორციუმის აქტივობებს. თავდაპირველად ტონი უფრო ნეიტრალური იყო. სტატიებში ხაზგასმული იყო მშენებლობის გეგმები, ოპერატორების ინტერესი (მაგალითად, SSA Marine). მედია თანმიმდევრულად ავრცელებდა ინფორმაციას პორტის გარშემო განვითარებულ პროცესებზე. სანყის ეტაპზე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისა“ და მისი პარტნიორების მიმართ გაშუქება ძირითადად ფაქტებზე დაფუძნებული იყო, თუმცა გადავადებებზე და თარიღების ცვლილებაზე გამახვილებული აქცენტით. რაც თავისთავად სიმართლე იყო. მედია აქვეყნებდა როგორც ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძის, ისე პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის (30.12.2015- 13.06.2018 წწ) განცხადებებს მიღწეული შეთანხმების შესახებ.

თუმცა, მედიამ გაშუქების ტონი მალევე შეცვალა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ მიმართ მკვეთრად კრიტიკული გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო დაპირისპირება მთავრობასთან და დაიწყო გამოძიება TBC-ბანკის დამფუძნებლების, ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ.

„სპუტნიკ საქართველო“ აქტიურად აშუქებდა ჯაფარიძე-ხაზარაძის საქმის დეტალებს და ხელისუფლების შეფასებებს.

### მაგალითად სტატიები:

“

„იაფფასიანი სპეკულაცია“ - პრემიერმა ანაკლიის პორტთან დაკავშირებით სკეპტიკოსებს უპასუხა;

“საუბარი იმაზე, რომ ვიღაცას მთავრობაში არ სურს ანაკლიის პროექტის განხორციელება არის იაფფასიანი სპეკულაცია“.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ხაზარაძე  
(20.06.2018 – 2.09.2019 წწ)



რა ვითარებაა ანაკლიის პორტთან დაკავშირებით: მინისტრმა პრობლემებზე ისაუბრა,

„კონსორციუმი: ფულის გათეთრების საქმე ანაკლიის პორტის მშენებლობას ხელს უშლის.“

ამ პროცესების პარალელურად, „სპუტნიკი“ რეგულარულად ნეგატიური ტონით აშუქებდა ანაკლიის პორტის თემას.

**მაგალითად სტატიები:**



რა პირობა წაუყენა მთავრობამ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს,

მთავრობა ანაკლიის პორტის ინვესტორთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას ელოდება,

პრემიერი: ანაკლიის პორტს სერიოზული ინვესტორები სჭირდება, რომლებიც არ გვყავს,

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ იხურება?,

საქართველოს ხელისუფლებამ შესაძლოა ანაკლიის პორტის ინვესტორებთან შეთანხმება განწყვიტოს,

ამერიკული კომპანია ანაკლიის პორტის მშენებლობაში მონაწილეობას არ მიიღებს,

რა ბედი ელის ანაკლიის პორტს: კონსორციუმი კვლავ ვერ ეტევა ვადებში,

საქართველოს მთავრობა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელშეკრულებას წყვეტს.

მედია ხშირად მიმართავდა მანიპულაციურ სათაურებს, რომლებიც მკითხველში აყალიბებდა ნეგატიურ განწყობას.



**გზა ანაკლიის პორტისკენ არ აშენდება?**



თვალსაჩინო მაგალითია სტატია - „**გზა ანაკლიის პორტისკენ არ აშენდება?**“. ასეთი ფორმულირება ორაზროვან და შეცდომაში შემყვან შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს პორტთან მისასვლელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მოშლილი ან შეჩერებული იყო. რეალურად კი, სტატიაში საუბარი იყო იმაზე, რომ ანაკლიის მიმართულებით საავტომობილო და სარკინიგზო გზების მშენებლობა ახალ ინვესტორთან შეთანხმების დასრულების შემდეგ გაგრძელდებოდა.

ანაკლიის პორტთან დაკავშირებულ სტატიებში ხშირი იყო ქვეთავი სათაურით - „წარუმატებელი პირველი მცდელობა“, რომელიც მუდმივად ხაზს უსვამდა “ხაზარაძის კონსორციუმის” როლს პორტში და მისი საქმიანობის სირთულეებს. პარალელურად, მკვეთრად მომრავლდა კომენტარები, რომლებიც კონსორციუმს ადანაშაულებდნენ ინვესტორების მოზიდვის შეფერხებაში და პროექტის გადავადებაში. მაგალითად, სტატიაში „ჩინური კომპანია გარანტი იქნება – კობახიძე ანაკლიის პორტის მშენებლობაზე“ აღნიშნული იყო, რომ „პრემიერის შეფასებით, ჩინური კომპანიის ტენდერში გამარჯვება უზრუნველყოფს ანაკლიაში პირველი ღრმანყოფანი პორტის მშენებლობის პროექტის განხორციელებას უმაღლეს დონეზე.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია „სპუტნიკის“ კიდევ ერთი სტატია - „პრემიერი: ანაკლიის პორტი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“. მედიამ გააშუქა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის კომენტარი -



პირადად მე ძალიან დიდი დრო მაქვს დახარჯული მოლაპარაკებებში, რათა ეს პროექტი შემდგარიყო. სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ამ პროექტს. ჩვენი პრიორიტეტი გახლავთ სწორედ ის, რომ კერძო სექტორმა შეძლოს ამ პროექტის რეალიზაცია. ამასთან, მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ საქართველოს აუცილებლად ექნება ღრმანყოფანი პორტი. ეს ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებშია”

და იქვე, იმავე სტატიაში აღნიშნული იყო:



მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ანაკლიის პორტი არ არის მიმზიდველი ბიზნეს-პროექტი, რადგან მოგების მისაღებად კერძო სექტორს, შესაძლოა, ათწლეულები დასჭირდეს. ამასთან, ივანიშვილი მიესალმება, რომ პორტს სწორედ კერძო სექტორი ააშენებს და სახელმწიფოს კრედიტების აღება არ მოუწევს.“



## პროკაბანდა და ჩეალობა

რას ამბობდნენ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრები ანაკლიის პორტის აშენებაზე ?

ანაკლიასთან მიმართებით „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის და 2012-2013 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ბიძინა ივანიშვილის რიტორიკა**, დროთა განმავლობაში, მნიშვნელოვნად შეიცვალა:

**2013 წელი**

„ეს ანაკლიის ლგანყლოვანი პროგნოზი შეიძლება ყველაზე დიდი პროექტი გახდეს საქართველოს ბოლო პერიოდში.“

**2016 წელი**

„ქალიან რთულია ამ პროექტის განხორციელება... ამ პროგნოზის მოგვებთან დაკავშირებით, შეიძლება 30, 40 და მეტი წელი დასჭირდეს იმისთვის, რომ ამ რეალური მოგება მიიღოს ბიზნესმენმა...“

თუმცა, მიუხედავად ივანიშვილის განცხადებისა, რომ პორტი „ხიზლიან კერძო პროექტს“ არ წარმოადგენს, 3 წელიწადში, „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ პორტი სახელმწიფოს და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით აშენდებოდა. 2021-2024 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, 2022 წელს განაცხადა:

**ირაკლი ღარიბაშვილი, 2022 წელი;**

„ჩვენი გადაწყვეტილებით, ანაკლიის პროგნოზი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51 პროცენტით იქნება სახელმწიფო. დანაკარგზე ჩვენ გამომავალად საერთაშორისო კონკურსს და შევარჩევთ პარტნიორებს.“

მოგვიანებით, 2023 წელს, ღარიბაშვილმა კვლავ გაიმეორა „ქართული ოცნების“ დანაპირები და აღნიშნა:

## იკაქლი ლაკიბაუზვილი, 2023 წელი;

„საქათვებელს მთავრობა მზადაა, ააშენოს ახალი პორტი, ღრმადი ლაკიბაუზვიანი ანაკლიისპორტი და **სამუშაოები დაიწყება წელს, (2023) შემოდგომაზე, ოქტომბერში** დაახლოებით... 51 % იქნება საქათვებელს მთავრობის და დანაჩენ 49 %-ზე ვაპირებთ, გავმართოთ მნიშვნელოვანი მოდაპირებები.“

## პორტი სამუშაოების დაწყება აკადემიკ გარედაცვლა.

## იკაქლი ლაკიბაუზვილი, 2023 წელი ანაკლიის ნაკრებზე;

„ანაკლიის პორტის მშენებლობა **2024 წლიდან** დაიწყება.“

საბოლოოდ, პორტის მშენებლობა 2024 წლის სექტემბერში, ბელგიურმა კომპანიამ, Jan De Nul-მა დაიწყო.

მიუხედავად „ქართული ოცნების“ ოპტიმიზმისა, რომ 2024 წლის მაისში კერძო პარტნიორის შესარჩევად გამოცხადებულ ტენდერში გამოვლენილი უპირატესი პრეტენდენტი „მალევე“ გამოცხადდებოდა გამარჯვებულ კომპანიად,

## პორტი (2025 წლის დაკავების მონაცემებით) კვლავ აკადემიკ ინვესტიორი.

როგორც ჩანს, პოტენციურ ინვესტიორთან, ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმთან მოლაპარაკებები მნიშვნელოვან დაბრკოლებებს აწყდება. 2025 წლის 7 აპრილს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, განაცხადა: „ძალიან დიდი ფოკუსი იმაზე თუ ვინ იქნება კერძო პარტნიორი, ვფიქრობ, ცოტა გადამეტებულია.“ მისი თქმით, ანაკლიის პორტის პროექტი „ან სახელმწიფო პროექტი იქნება, ან განხორციელდება კერძო პარტნიორთან ერთად.“ ამგვარად,

## 2025 წლის დაკავების მდგომარეობით, სახელმწიფო ანაკლიის პორტის პროექტის უსსოუკი ინვესტიციების მოზიდვას კვლავ ვერ ახერხებს.

## მედიისა და აკადემიკოსთა კომპლექსური დისკუსია: „სპუტნიკის“ ნაჩვენავი აშშ-ის საელჩოს წინააღმდეგ

განსაკუთრებით შესამჩნევი იყო „სპუტნიკის“ სარედაქციო პოლიტიკა და დამოკიდებულება როგორც ანაკლიის პორტის პროექტისა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ წარმომადგენლების მიმართ, ისე დამოუკიდებელი მედიის - TV-პირველის, არასამთავრობო სექტორისა და საქართველოში აშშ-ის ელჩის წინააღმდეგ.

27 ივლისს (2019) მედიამ გამოაქვეყნა მკვეთრად ირონიული, დამაკნინებელი და მკვეთრად პროპაგანდისტული ნარატივებით გაჯერებული სტატია სათაურით - „*ანაკლიის პორტის, 'ქართველი ხოდორკოვსკების', 'TV პირველისა' და 17 მილიონის შესახებ*“.

სტატიაში ავტორი, ლანა ჩეჩელაშვილი ცინიკური რიტორიკით აღწერდა „თიბი-სი ბანკის“ აქციების ვარდნას („*ლარს გაფრენილი არწივი ველარ ეწევა*“), ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეს „საერთაშორისო სკანდალის“ კონტექსტში წარმოაჩენდა და ამერიკის პოზიციასთან დაკავშირებით სარკასტულ კითხვებს გვთავაზობდა - „*თუ ასეთი მნიშვნელოვანია პორტი, რატომ არ აფინანსებს ამერიკის მთავრობა?...*“ „*ნამდვილად არ ვიცი, სჯერა თუ არა ოფიციალურ მოსკოვს ოფიციალური თბილისის ცრემლების, მაგრამ ფაქტია, რომ ვაშინგტონში შეშფოთდნენ*. აშშ საელჩომ, რომელსაც არსებითი არაფერი უთქვამს სტრასბურგის მიერ „*რუსთავი2*“-ის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, ამჯერად გამოძიებას მოუწოდა – *დამაჯერებელი ფაქტები წარმოადგინოს „TBC ბანკის“ დამფუძნებლების წინააღმდეგ...*“ და სხვა.

სტატიაში ავტორი მიზანმიმართულად უკავშირებდა ხაზარაძე-ჯაფარიძეს დამოუკიდებელ მედია „*TV პირველს*“. მაგალითად, „*ამასობაში ირკვევა, რომ ხაზარაძის ფინანსებზეა დამოკიდებული კიდევ ერთი ოპოზიციური არხი „TV პირველი*“. ასევე, ავტორი ხელისუფლების ხაზს აძლიერებდა პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის მიერ დასმული კითხვებით „*17 მილიონსა*“ და „*ფულის გათეთრების*“ შესახებ.

სტატიის შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება:

- ანაკლიის პორტის დისკრედიტაცია;
- კონსორციუმის ხელმძღვანელების პერსონალიზებული შეტევა;
- დამოუკიდებელი მედიის მიმართ უნდობლობის გაღვივება.

პრაქტიკულად იგივე ნარატივს ემსახურებოდა მედიის კიდევ ერთ პუბლიკაცია „*დაანონსებული სისტემის ნგრევა... ანუ ბანკირის მუქარა?!*“.

სტატიაში ავტორი ირონიულ და კრიტიკულ ტონში აფასებდა ამერიკის საელჩოს განცხადებას. ტექსტში განხილული იყო საელჩოს რეაქცია, რომლის მიხედვითაც ბიზნესმენებისთვის პროკურატურის მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალის წაყენება შემაშფოთებელი იყო - „შეშფოთებას ინვესტს როგორც კონტექსტთან, ისე დროის შერჩევით... აშშ მხარს უჭერს ანაკლიის პორტის პროექტს.“

**SPUTNIK საქართველო**

**დაანონსებული სისტემის ნგრევა... ანუ ბანკირის მუქარა?!**

10:50 29.07.2019 (განახლებულია: 17:03 19.10.2021)



„სასურველი იქნებოდა, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის დიპლომატიურ მისიას მკაფიოდ დაეზუსტებინა კონტექსტი და ჩვენთვის მისი რაობა თავსატეხად არ დაეტოვებინა... დასავლელ ინვესტორებს გარანტიები უნდათ, რომ სხვა ღრმანყოფიანი პორტი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არ აშენდება. გარდა ამისა, ტვირთნაკადების არასაკმარისი ოდენობის გამო დასაზღვევია კომერციული რისკებიც...“

მედიის მხრიდან ეს მიდგომა წარმოადგენს კრემლის სტრატეგიულ კომბინაციას: ანაკლიის პროექტის განხორციელებისადმი სკეპტიციზმის გაღვივებას, კონსორციუმის წარმომადგენლების დისკრედიტაციას და დასავლური აქტორების მოტივის დამახინჯებულ, ირონიზებულ კონტექსტში წარმოჩენას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი სტატია „*ანაკლიის პორტის ბედი და ოპოზიციის, შავი სია – რა ელოდება საქართველოს უახლოეს მომავალში*“. ეს უკანასკნელი, ქართული პრესის მიმოხილვას წარმოადგენდა. ავტორი სტატიის შესავალში აღნიშნავდა:

„სამყარო და პატარავდა. ბოლო მოვლენებმა ნათლად აჩვენა: ევროპისადმი მენტალური სწრაფვა არ გამორიცხავს საქართველოს მჭიდრო კავშირს ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ პროცესებთან. ასე იყო ადრე და ასეა დღესაც. შეიცვალნენ მხოლოდ მოთამაშეები და წესები.“

**SPUTNIK საქართველო**

**ანაკლიის პორტის ბედი და ოპოზიციის „შავი სია“ – რა ელოდება საქართველოს უახლოეს მომავალში**



სტატიის მთავარ ნარატივს წარმოადგენდა ანაკლიის პორტის პროექტის დისკრედიტაცია დასავლეთისა და ოპოზიციური სპექტრის კრიტიკის მეშვეობით. კერძოდ, მედია ხაზს უსვამდა, რომ „ანაკლიის პორტის პრობლემებთან მჭიდროდაა გადახლართული ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული და შიდაპოლიტიკური ასპექტები“. ავტორი აღნიშნავდა, რომ ოპოზიციურად განწყობილი პარტიები და ანალიტიკოსები ხშირად წარმოაჩენენ ვითარებას ისე, თითქოს მთავრობა მოქმედებდა დასავლეთის რეკომენდაციებისა და ინტერესების წინააღმდეგ. სტატიაში განხილული იყო ექსპერტ **სანდრო თვალჭრელიძის** პოზიცია, რომლის მიხედვითაც ამერიკას თავის ინტერესებზე საჯაროდ საუბრისკენ უბიძგა “კონსორციუმის ნაბიჯებმა, რომლებიც მიმართულია პროექტში ჩინეთის ჩართვაზე. ამ მიზეზით ამერიკულმა კომპანიებმა პროექტი დატოვეს.”

„სპუტნიკის“ და „ქართული ოცნების“ აშკარა სამიზნე იყო აშშ-ის ელჩი საქართველოში, რობინ დანიგანი. მისი განცხადებები ანაკლიის პორტში ჩინეთის ჩართულობის შესაძლო საფრთხეებთან დაკავშირებით დიდი რეზონანსით გავრცელდა. სტატიაში - „**აშშ-ის პრეზიდენტისა და ელჩის პოლიტიკა განსხვავდება? დეპუტატი დანიგანის განცხადებას აფასებს**“ მედია „ქართული ოცნების“ დეპუტატის **გურამ მაჭარაშვილის** ირონიითა და ანტიდასავლური რიტორიკით გაჯერებულ კომენტარებს ციტირებდა:



„თუ აშშ-ის ელჩი მისი ქვეყნის პრეზიდენტისგან განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს, მან ეს უნდა განმარტოს... დღეს სი ძინპირი პრეზიდენტი ბაიდენს ხვდება... ამერიკის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის და ჩინეთის პრეზიდენტები საჯაროდ აცხადებენ, რომ აპირებენ თანამშრომლობას, მათ შორის სამხედრო მიმართულებით. დასკვნები თავად გააკეთეთ“.

„სპუტნიკი“ ოპოზიციისა და დასავლეთის კრიტიკის პარალელურად აქტიურად აკრიტიკებდა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. ამის ნათელი მაგალითია **2024 წლის 3 ივნისის** სტატია — „**ვიცე-პრემიერი: საქართველოში ყველა მნიშვნელოვანი პროექტის პოლიტიზირება ხდება**“, რომელშიც წარმოდგენილი იყო ლევან დავითაშვილის ბრიფინგზე გაკეთებული განცხადებები ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის პროექტის პოლიტიზაციის შესახებ.

სტატიაში განხილული იყო ჩინეთის ელჩის, ჭოუ ციენის განცხადება, რომლის მიხედვითაც;

“**აშშ-დან და ტაივანიდან დაფინანსებული ე.წ. ანალიტიკური ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები კონსორციუმის წინააღმდეგ დეზინფორმაციას ავრცელებენ.**

ელჩი თავს ესხმის ანალიტიკური ორგანიზაცია სამოქალაქო იდეას თავმჯდომარეს. მისი განცხადებით, გავრცელებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ პარტია „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის, დავით უსუფაშვილის მეუღლის, თინა ხიდაშელის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეა“ ტაივანური ორგანიზაციების მიერ ფინანსდება. მისი შეფასებით, „ეს მცდელობები არაფრის მომცემი იქნება და ხელისუფლება გეგმაზომიერად განავითარებს პორტს“. სწორედ, ჩინეთის ელჩის კომენტარები გახდა დასაწყისი სამოქალაქო იდეასა და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიური ხასიათის შეურაცხმყოფელი პრესკონფერენციების სერიის,

რომლებიც თვეების განმავლობაში, როგორც 2024, ისე 2025 წელს, პრემიერის, პარლამენტის თავმჯდომარის, სხვადასხვა მინისტრისა და დეპუტატების მონაწილეობით იმართებოდა.

ამავე შინაარსის კიდევ ერთი მასალა გაავრცელა მედიამ „*ჩინური კომპანია გარანტი იქნება - კობახიძე ანაკლიის პორტის მშენებლობაზე,*“ სტატიაში პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებებია განხილული, სადაც ის აკრიტიკებს ოპოზიციას და არასამთავრობო სექტორს.

„რაც შეეხება პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლებიც ჩართული იყვნენ ანაკლიის გარშემო პროცესებში, შეგახსენებთ, არაერთხელ გადაუვარდა სახელმწიფომ, თუმცა ვერცერთხელ ვერ შეძლეს ინვესტორის მოზიდვა. ეს არის მათი პასუხისმგებლობა... სპეკულაციები არის უადგილო, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ ვინც დაიწყო ეს სპეკულაციები, იღებს საგრანტო დაფინანსებას უცხოური საექვო წყაროებიდან და ამით არის ნაკარნახევი ის ანტიჩინური კამპანია, რომელსაც შესაბამისი პოლიტიკოსები და მათი „ენჯეოები“ აწარმოებენ“.



# „დასავლეთის ოკეანი სვანდაგები“ - „სპუტნიკი“ ანაკლიის პორტის ჩინური პარტნიორობის მხარდასაჭერად

2023 წლიდან „სპუტნიკი საქართველოს“ რიტორიკა ანაკლიის პორტისა და მასში ჩართული მხარეების მიმართ კიდევ უფრო შეიცვალა. ჩინური კომპანიის შესაძლო ჩართულობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, რომელიც იმჟამინდელმა მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** დაადასტურა, „სპუტნიკის“ სარედაქციო პოლიტიკა პოზიტიური გახდა, და აქტიურად დაიწყო საქართველოს მთავრობის კომენტარების გავრცელება პრო-ჩინური ნარატივებით. ამ პერიოდიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ანტი-დასავლური ნარატივებიც.

2023 წლის 24 ოქტომბრის სტატიაში *„შედგება თუ არა საქართველო სათანადო სარგებლის მიღებას ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობით“* ვრცლად იყო განხილული საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობის დადებითი მხარეები, განსაკუთრებით ანაკლიის პორტის კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილი იყო სწორედ ჩინეთთან თანამშრომლობის პერსპექტივით. სტატიაში გამოყენებული იყო საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის, ჭოუ ციენის კომენტარი - „ჩინეთი დაინტერესებულია საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მათ შორის პორტის მშენებლობაში მონაწილეობით“, ასევე, ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიტიური ტონის განცხადებები პორტში ჩინური კომპანიის შესაძლო ჩართულობის შესახებ, ხოლო ოპოზიცია მკაცრად იყო გაკრიტიკებული.

სტატიაში-*„კალაძე: საქართველოს გავლით ჩინეთიდან ტვირთების იმპორტი ჩვენი ეკონომიკისთვის სტიმული იქნება“* თბილისის მერის შეფასებით, ჩინური კომპანიის ჩართულობა ანაკლიის პორტში საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.

„რაც შეეხება გამარჯვებულ კომპანიას, ის არის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია მსოფლიოში და ზოგადად, ჩინეთის როლი არის მნიშვნელოვანი, იმის გათვალისწინებითაც, რომ 800 მილიარდამდე ვაჭრობა აქვს მას ევროკავშირთან. საქართველოს გავლით, ტვირთების სულ მცირე 2-3%-ის გატარება რომ მოხდეს, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი“.



**SPUTNIK საქართველო**

**ორმაგი სტანდარტია - პრემიერი გამოეხმაურა კრიტიკას ჩინეთთან დაახლოების გამო**



**SPUTNIK საქართველო**

**როგორ აისახება ანაკლიის პორტისთვის ჩინელი ინვესტორის არჩევა ქართულ-დასავლურ ურთიერთობებზე**



2024 წლის ბოლოს „სპუტნიკის“ სტატიებში განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული „ამერიკისა და დასავლეთის ორმაგ სტანდარტებზე“. მთავარი ნარატივი - **ისინი ვაჭრობენ ჩინეთთან, თუმცა საქართველოს აკრიტიკებენ მასთან პარტნიორობის გამო.** მაგალითისთვის, **ირაკლი კობახიძის კომენტარი:**



რეალურად, ყველამ იცის, რომ ჩინეთი არის ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო პარტნიორი. როდესაც ასეთ პირობებში ვისმენთ საქართველოს კრიტიკას ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების შესახებ, ეს არის ორმაგი სტანდარტი და ჩვენთვის ასეთი ორმაგი სტანდარტი აბსოლუტურად მიუღებელია“.

2024 წლის 30 მაისის სტატიაში - „როგორ აისახება ანაკლიის პორტისთვის ჩინელი ინვესტორის არჩევა ქართულ-დასავლურ ურთიერთობებზე“, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის **პაატა კვიციანიძის** შეფასებით, კრიტიკა ჩინური კომპანიის მიმართ უადგილოა.



სამწუხაროდ, ამერიკელები და ევროპელები არ დაინტერესებულან ანაკლიის პორტის პროექტით... ანაკლიის პორტს არ აქვს არავითარი აზრი ჩინური ტვირთის გარეშე... ჩინეთი შუა აზიის ყველაზე დიდი ინვესტორი და, შესაბამისად, რეგიონში ყველაზე დიდი გავლენის მქონეა... ამიტომ ეს (ჩინური კომპანიის მონაწილეობა პროექტში - რედ.) არის სტაბილურობა და გარანტირებული ტვირთი.



ამავე კონტექსტის კომენტარი გააკეთა „ქართული ოცნების“ კიდევ ერთმა დეპუტატმა, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი ქადაგიშვილმა** და „სპუტნიკის“ ინტერესიც გამოიწვია. სტატიაში „საქართველო აშშ-ის და ჩინეთის პოლიტიკური დაპირისპირების მძევალი ვერ იქნება“, ვკითხულობთ:

**SPUTNIK საქართველო**

**საქართველო აშშ-ის და ჩინეთის პოლიტიკური დაპირისპირების მძევალი ვერ იქნება - ქადაგიშვილი**



**„ვინც მიიღო ამ ტენდერში მონაწილეობა, ის კომპანია გახდა გამარჯვებული. სამწუხაროდ, არ მიუღია ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიებს ამ ტენდერში მონაწილეობა. არც ევროპის ბევრ ქვეყანას არ გამოუჩენია, რაიმე კონკრეტული ინტერესი და საბოლოო ეტაპზე, დაგვრჩა მხოლოდ ჩინური კომპანია“.**

„სპუტნიკი“ სისტემატურად აყალიბებდა ნარატივს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა თავდაპირველად მზად იყო თანამშრომლობისთვის დასავლეთთან, თუმცა დასავლეთის პასიურობის გამო ხელისუფლებამ ალტერნატივად - ჩინეთთან თანამშრომლობა აირჩია. აღნიშნული განცხადება მკაფიოდ ეწერება იმ კომუნიკაციურ ჩარჩოში, რომლის მიზანია დასავლეთის დაკნინების ხაზგასმა და საქართველოსთვის ჩინეთის, როგორც რეალისტური და ხელმისაწვდომი პარტნიორის წარმოჩენა.

„სპუტნიკ საქართველოს“ ანაკლიის პორტის თემაზე გაშუქების ანალიზი ცხადყოფს, რომ მედიის საინფორმაციო პოლიტიკა ქმნის მკვეთრად პოლიტიზირებულ და სტრატეგიულად მართული ნარატივების სივრცეს, სადაც ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული საკითხი გადაქცეულია გეოპოლიტიკური გავლენების ბრძოლად.

# რუსული მედია-საშუალებების კონსპირაციული თეორიები ანაკლიის პორტში ამერიკელების ჩართულობის შესახებ:

## სჯაზია #1

Медиагруппа Звезда-მ 2020 წელს გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: „ქართული პორტი, ანაკლია მალე ამერიკის საზღვაო ბაზა გახდება“. სტატიაში ანაკლიის ღრმანყლოვანი პორტის პროექტი შეფასებულია, როგორც პენტაგონის „ალტერნატიული გეგმა“ შავ ზღვაში ამერიკის გავლენის გასაძლიერებლად.

სტატიაში აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების მაღალი რისკების გამო, საქართველოს ყოფილმა პრემიერმა ივანიშვილმა, თავის დროზე უარი თქვა პროექტზე, რომელიც მშვიდობიან პორტს მნიშვნელოვნად შეიარაღებულ საზღვაო ბაზად აქცევდა. სტატიის მიხედვით, „ამ მიზეზით, დასავლეთმა გააძლიერა ზენოლა საქართველოს ხელისუფლებაზე. გასული 2 წლის მანძილზე, პრო-დასავლურმა კვაზი-პოლიტიკურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა თბილისში, ანაკლიის განვითარების კონსორციუმის ხელმძღვანელის, მამუკა ხაზარაძის მეთაურობით, დემონსტრაციების პროვოცირება მოახდინეს.“

სტატიაში, რომელიც ანაკლიის განვითარების კონსორციუმის პროექტში ჩართულობას ამერიკის სამხედრო ინტერესებთან აკავშირებს, აღნიშნულია: „ხაზარაძის მიერ მართული კონსორციუმი მხოლოდ ორ ამერიკულ კომპანიას მოიცავს: SSA Marine და Conti International LLC. ამასობაში, აღნიშნული კომპანიები არიან ყველაზე მსხვილი კონტრაქტორი ორგანიზაციები, რომლებიც ნატოს და პენტაგონის ლოჯისტიკურ პროექტებს ასრულებენ.“

## სჯაზია #2

რუსული ონლაიმედია AIF.RU-ს მიერ 2022 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით, „ქართული ანშლუსი. გაბედავს თუ არა თბილისი აფხაზეთის დაბრუნებას“, განხილულია საქართველოს მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების გეგმა. საინტერესოა, რომ სტატიაში ანაკლიის პორტის პროექტი სწორედ ოკუპირებული ტერიტორიების კონტექსტშია ნახსენები. კერძოდ, ანაკლიის პორტში ამერიკული კომპანიების ჩართულობა შეფასებულია, როგორც „ამერიკის სამხედრო გავლენის ზრდა“:

“ექსპერტი ვლადიმირ პოპოვი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი არ გამოირიცხავს საქართველოს მხრიდან სამხედრო აგრესიას, განსაკუთრებით აშშ-ის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების ფონზე. მეორე მიზეზია, შავ ზღვაში,

ქართულ ქალაქ ანაკლიაში ღრმანყოფანი საზღვაო პორტის მშენებლობა. საქართველოში ამერიკის ელჩის, კელი დეგნანის განცხადებით, მისი ქვეყანა ამ პორტის მშენებლობისთვის “მტკიცე მხარდაჭერას” უზრუნველყოფს. სოხუმი, სამართლიანად მიიჩნევს, რომ პორტს ძირითადად ნატოს გემები გამოიყენებენ.”

---

### საგზია #3

---

რუსული მედიასაშუალებების, **Известия-ს** 2024 წლის სტატიაში, სათაურით **“Экс-аналитик ЦРУ назвал протесты в Грузии подготовкой плацдарма для атаки на РФ”** (CIA-ის ყოფილმა ანალიტიკოსმა საქართველოში პროტესტს რუსეთში მოქმედებისთვის მზადება უწოდა) წარმოდგენილია ცნობილი რუსული ნარატივი, რომ დასავლეთი საქართველოში “ფერადი რევოლუციის” მონყობას ცდილობს. სტატიაში აღნიშნულია, რომ აშშ-მ უკვე დაიწყო შანტაჟის პრაქტიკა საქართველოს წინააღმდეგ, მოუწოდებს რა მას, რომ გააკეთოს არჩევანი “რუსეთთან თანამშრომლობასა და ევროკავშირში და ნატოში განევრიანებას შორის.”

სტატიის მიხედვით, თუ ოფიციალურ თბილისში “ნაციონალისტები” ძალაუფლებას ხელში აიღებენ, რუსეთის საზღვრებთან ახლოს, ორ რეგიონში, აფხაზეთსა და სამხრეთოსეთში, კონფლიქტი შეიძლება დაიწყოს. “დასავლეთმა შეიძლება ეს შესაძლებლობა რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს.”

სტატიის მიხედვით, “ამერიკელებს სჭირდებათ ბაზები, პორტები და აეროდრომები რუსეთის გარშემო, რათა მკაფიოდ და შესანიშნავად მოახდინონ სიტუაციის ესკალაცია და შემდგომში, თავდასხმის სახით ამ ესკალაციის რეალიზება მოახდინონ.” სწორედ ამ კონტექსტშია ნახსენები ანაკლიის ღრმანყოფანი პორტიც. კერძოდ, სტატიის მიხედვით, “შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ ანაკლიაში, რომელიც აფხაზეთთან საზღვარზე და სოჭიდან 170 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, ამერიკამ უკვე დაიწყო საკუთარი ღრმანყოფანი სამხედრო პორტის მშენებლობა .”

---

### საგზია #4

---

2025 წლის 14 დეკემბერს, **Sputnik Абхазия-მ** გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: **“პოლიტოლოგმა შეაფასა ამერიკის მიერ ანაკლიის პორტში სამხედრო ფლოტის შენებაზე უარის თქმა”**.

სტატიაში ციტირებულია ალექსანდერ არტამონოვის კომენტარი, რომელიც ამბობს: “შეგახსენებთ, რომ წლების მანძილზე, ამერიკა ანაკლიას განიხილავდა, როგორც პორტს საკუთარი ბაზის ასაშენებლად. ამერიკელებმა ახლა ამ იდეაზე უარი თქვეს. და რამდენადაც ვიცი, პორტს ჩინელებს მიყიდიან. ეს წარმოადგენს დადებით გეოპოლიტიკურ ცვლილებას.”

## ანაკლიის პორტის მედია-ნაკაზვის ქრონოლოგია 'სპუტნიკის' სვავიების მიხედვით (2019–2024)

2019–2020 წლებში მედია განსაკუთრებით აქტიურად ავრცელებდა ნეგატიური შინაარსის მასალებს ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით, რაც მკვეთრად იყო დაკავშირებული პროექტში დასავლური კონსორციუმის მონაწილეობასთან:

### სტატიები:

“

არ არის კითხვები, არის პრობლემები” – ეკონომიკის მინისტრი ანაკლიის პორტის შესახებ,

ანაკლიის პორტის ყოფნა-არყოფნა: ხელისუფლება და კრედიტორები ვერ შეთანხმდნენ,

ახალი სკანდალი: ანაკლიის პროექტის ინვესტორები პროექტის შეჩერებით იმუქრებიან,

თურნავა: ანაკლიის პორტი პირველ გემს 2020 წელს ვერ მიიღებს,

ფინანსური გარიგება ანაკლიის პორტთან დაკავშირებით დადგენილ ვადაში არ დაიხურება,

ბახტაძემ ანაკლიის ინვესტორებისთვის ფინანსური გარიგების დახურვის გადავადებას მხარი დაუჭირა,

ხაზარაძეს ბრალს წაუყენებენ: ანაკლიის პორტის მშენებლობას საფრთხე ემუქრება.

2021-2022 წლებში “სპუტნიკი” აქტიურად აშუქებდა ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის პროექტს, ხაზგასმით წარმოაჩენდა როგორც პროექტის გამონწვევებს, ასევე მისი განხორციელების პრობლემებს.

### სტატიები:

“

ანაკლიის პორტის პროექტი კვლავ „ტრენდშია“: ხელისუფლება ახალ ტენდერზე მუშაობს,

როდის მოიძიებს საქართველო ახალ ინვესტორებს ანაკლიის პორტის პროექტისთვის,

საუკუნის პროექტი კვლავ საფრთხის ქვეშაა - ინვესტორების რეაქცია სასამართლო გადანყვეტილებაზე,

ლევან დავითაშვილი: ანაკლიის პორტი აშენდება,

მთავრობა უახლოეს მომავალში მზად იქნება ანაკლიის პორტის ახალი მშენებლის შესარჩევად,

ანაკლიის პორტის მშენებლობით მსხვილი ინვესტორები დაინტერესდნენ,

როდის ეყოლება ანაკლიის პორტს ახალი ინვესტორი,

ანაკლიის პორტის თანამფლობელი სახელმწიფო გახდება - პრემიერი.

2023–2024 წლებში მედია კვლავაც აქტიურად აშუქებდა ანაკლიის პორტის საკითხს, თუმცა გაშუქების ფოკუსი შესამჩნევად გადაიხარა ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმის ჩართულობისკენ. ამ ეტაპზე პლატფორმა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ჩინური კომპანიის შესაძლო როლსა და მის გავლენას პროექტის განვითარების პროცესზე, ხშირად პოზიტიურ ნარატივში. ამასთან, ჩინური კომპანიის ჩართულობის მიმართ კეთილგანწყობილი ტონის პარალელურად, მედია აგრძელებდა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისა“ და მამუკა ხაზარაძის მიმართ ნეგატიური შინაარსის მასალების გავრცელებას.

### სტატიები:



ელჩი: ჩინეთი ანაკლიის პორტის მშენებლობით დაინტერესებულია,

რომელი ქვეყნების ინვესტორები დაინტერესდნენ ანაკლიის პორტის მშენებლობით,

როდის შეარჩევენ ინვესტორს ანაკლიის პორტის პროექტისთვის,

ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის - დავითაშვილი ანაკლიის პორტის მშენებლობაზე,

სტიმული ბიზნესისთვის – მინისტრის მოადგილე საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე,

დავითაშვილი: ანაკლიის პორტის ინვესტორი ჩინური კონსორციუმი იქნება,

კალაძე: საქართველოს გავლით ჩინეთიდან ტვირთების იმპორტი ჩვენი ეკონომიკისთვის სტიმული იქნება.

# მიზნები

## სამთავრობო, კოორდინირებული და კომ-ჩინური ნაჩაზივების ექთიანი კონსჯკუქსია:

„სპუტნიკ საქართველო“ ქმნის ჰიბრიდულ საინფორმაციო ჩარჩოს, სადაც „ქართული ოცნების“ შეხედულებები სრულ თანხვედრაშია რუსული საგარეო პოლიტიკის ინტერესებთან და პარალელურად ემსახურება ჩინეთის ინტერესებსაც. ანაკლიის პორტი ერთ-ერთ საკვანძო თემად არის გამოყენებული.

## ანაკლიის პორტის საკითხის დასაქვეთ-აღმოსაქვეთის გეოქოლოგიკური დაქიკისსიკიების ჭიიღში ნაქმოქენა:

მედია თემას სისტემატურად აყალიბებს როგორც აშშ-ის გავლენების „შემზღუდავ“ პრაქტიკას, ხოლო ჩინურ ინვესტიციებს წარმოაჩენს საქართველოს „სუვერენული არჩევანის“, განვითარების შესაქლებლობისა და გეოქონომიკური ალტერნატივის გზად. თუმცა, ფორმირებული საინფორმაციო ჩარჩო იმეორებს კრემლის სტრატეგიულ ნარატივს, რომლის თანახმადაც „პროექტის მუდმივად გადადება, მის არასანდოობაზე მიუთითებს“.

## დასაქვეთის ოქოზისიის, აქასამთავრობო საქქოკისა და ქიივიქოსების დისქაქიღასია:

„სპუტნიკი“ იყენებს აგრესიულ, ირონიულ და ნეგატიურ ტონს ქართული ოქოზიციის, არასამთავრობო სექტორის, ამერიკის ელჩის, ამერიკელი კონგრესმენებისა თუ სხვა დასავლელი კრიტიკოსების წინააღმდეგ, რაც ემსახურება პერსონალური რეპუტაციისა და ნდობის შემქირებას.

მასალების (2015–2025) ანალიზი ცხადყოფს, რომ „სპუტნიკი“ წლების განმავლობაში მანიპულირებდა ანაკლიის პორტის თემით რუსული ინტერესების თვალთახედვით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს პლატფორმის სტრატეგიულ და არა ექიზოდურ საინფორმაციო მოქმედებაზე.

# ანაკლიის ღრმანყოფილის პორტის თაიბანი

## ● 2000-იანი წლები

ინჟინერმა სპარტაკ ერაგიამ შეიმუშავა ანაკლიაში ღრმანყოფილის პორტის ალტერნატიული პროექტი, რომლის მიხედვითაც, პორტის გამტარუნარიანობა 100-120 მლნ ტონა უნდა ყოფილიყო.

## ● 2011 წლის დეკემბერი

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა წარადგინა ახალი ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, ანაკლიასა და ყულევს შორის დაფუძნდებოდა ახალი ქალაქი, სახელწოდებით - ლაზიკა. გეგმის მიხედვით, ლაზიკა შეასრულდებდა ცენტრის ფუნქციას შავი ზღვისპირეთის მასშტაბით.

## ● 2012 წლის ივლისი

საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ქალაქ ლაზიკის სტატუსი და უფლებამოსილებანი განისაზღვრებოდა ორგანული კანონით.

## ● 2012 წლის სექტემბერი

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ლაზიკის პორტში ჩაიდებოდა “ასეული მილიონის” ინვესტიცია.

## ● 2013 წლის სექტემბერი

პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა ანაკლიის პორტის მშენებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ ანაკლიის პორტი საქართველოში უდიდესი იქნებოდა და წელიწადში 110 მილიონი ტონა ტვირთის გატარებას შეძლებდა.

## ● 2014 წლის აგვისტო

საქართველოს მთავრობამ ანაკლიის ღრმანყოფილის პორტის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამონატვის შესახებ განაცხადა.

## ● 2016 წლის ოქტომბერი

გაფორმდა კონტრაქტი საქართველოს მთავრობასა და “ანაკლიის განვითარების კონსორციუმს” შორის “ანაკლიაში შავი ზღვის ღრმანყოფილის ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ”. კონსორციუმი შედგებოდა TBC Holding-ისა და ამერიკული კომპანია Conti Group-სგან.

## ანაკლიის განვითარების კონსორციუმი: მონაწილე კომპანიები



### 2017 წლის აგვისტო

ანაკლიის პორტის პროექტში ჩაერთო ამერიკული კომპანია **SSA Marine**, რომელიც პორტის ტერმინალ-ოპერატორი და ერთ-ერთი ინვესტორი გახდა.

### 2017 წლის დეკემბერი

დაიწყო ანაკლიის პორტის სამშენებლო სამუშაოები.

### 2018 წლის აგვისტო

პროკურატურამ ანაკლიის განვითარების კონსორციუმის დამფუძნებლების, ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ, 2008 წლის აპრილ-მაისში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით, **გამოძიება** დაიწყო.

### 2018 წლის დეკემბერი

ანაკლიის განვითარების კონსორციუმის მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან სესხის მისაღებად მოლაპარაკებებში ჩაერთო საქართველოს მთავრობა. ბანკებმა მთავრობას ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებების **8** პუნქტიანი პაკეტი წარუდგინეს.

### 2019 წლის მაისი

საქართველოს მთავრობამ **უარი თქვა** კერძო ინვესტორის კომერციული რისკების დაზღვევასა და **400** მილიონი დოლარის სესხის სრულად უზრუნველყოფაზე.

### 2019 წლის ივნისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, მამუკა ბახტაძესთან შეხვედრის შემდეგ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ **განაცხადა**, რომ აშშ იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო ანაკლიის პროექტს დაასრულებს.

### მაიკ პომპეო:



ვიმედოვნებ, რომ საქართველო დაასრულებს პორტის (ანაკლიის) პროექტს. ეს პროექტი დაეხმარება საქართველოს განავითაროს ურთიერთობები თავისუფალ ეკონომიკებთან, რათა არ მოექცეს რუსეთისა და ჩინეთის გავლენის ქვეშ, რომლებიც თავს საქართველოს მეგობრებად წარმოაჩენენ, თუმცა, არ გამოხატავენ საქართველოს ინტერესებს.

● **2019 წლის ივლისი**

სასამართლომ მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით 700 000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.

● **2019 წლის აგვისტო**

ამერიკულმა Conti International LLC-იმ დატოვა ანაკლიის განვითარების კონსორციუმი. გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ მთავრობამ და პროექტის ინვესტორმა ბანკებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

● **2019 წლის აგვისტო**

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოუწოდა ანაკლიის განვითარების კონსორციუმს, რომ უმოკლეს ვადებში წარედგინა განერილი გეგმა კონსორციუმის 42 %-იანი წილის მქონე “Conti International LLC”-ის ჩანაცვლების თაობაზე.

● **2019 წლის ოქტომბერი**

ანაკლიის პორტის პროექტში ჩაერთო ჰოლანდიური საზღვაო საინჟინრო კომპანია, Van Oord International, რომელმაც Anaklia Holding JSC-ის აქციების 4.16 %-იანი წილი შეიძინა.

● **2019 წლის ოქტომბერი**

ანაკლიის კონსორციუმის გენერალურმა დირექტორმა, ლევან ახვლედიანმა განაცხადა, რომ “მთავრობამ პრაქტიკულად საბოტირება მოახდინა ამ [ანაკლიის] პროექტის”.

● **2020 წლის იანვარი**

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, შეწყდა საინვესტიციო ხელშეკრულება ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან. გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა საინვესტიციო ხელშეკრულების 7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

● **2022 წლის დეკემბერი**

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა, რომ ანაკლიის პორტი სახელმწიფოს თანამონაწილეობით ინვესტორ კომპანიებთან ერთად აშენდება, თუმცა პორტის 51 %-იანი წილის მფლობელი სახელმწიფო იქნება.

● **2023 წლის თებერვალი**

ეკონომიკის სამინისტრომ გამოაცხადა საერთაშორისო კონკურსი ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის კერძო ინვესტორის შესარჩევად.

## ● 2023 წლის მარტი

სახელმწიფომ კომპანია შპს “ანაკლიის საზღვაო ნავსადგური” დააფუძნა. განისაზღვრა, რომ საწყის ეტაპზე კომპანია უზრუნველყოფდა საზღვაო ინფრასტრუქტურის (ფსკერდაღრმავების სამუშაოები; ტალღმტეხელის პროექტირება/მშენებლობა) პროექტირება/მშენებლობას.

## ● 2023 წლის სექტემბერი

ეკონომიკის სამინისტრომ განაცხადა, რომ ანაკლიის პორტის ინვესტორის შერჩევის მეორე ეტაპზე ორი კომპანია გადავიდა, თუმცა, “კონკურსის პირობებიდან გამომდინარე” კომპანიები არ დასახელდა.

## ● 2024 წლის მარტი

ანაკლიის პორტის საზღვაო ინფრასტრუქტურის პროექტირების და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის მორიგი საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა.

## ● 2024 წლის მაისი

ეკონომიკის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ ტენდერში უპირატეს მონაწილეს წარმოადგენდა ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმი, რომელმაც სახელმწიფოს სრულყოფილი საინვესტიციო წინადადება წარუდგინა.

## ● 2024 წლის ივნისი

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ “უახლოეს მომავალში” ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმთან ხელშეკრულება დაიდება.

## ● 2024 წლის აგვისტო

ანაკლიის ღრმანყოფანი ნავსადგურის საზღვაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე ხელშეკრულება ბელგიურ კომპანია Jan De Nul-თან გაფორმდა.

## ● 2024 წლის სექტემბერი

ბელგიურ კომპანია Jan De Nul-თან გაფორმდა სამწლიანი კონტრაქტი, რის შედეგადაც, კომპანიამ ანაკლიის ღრმანყოფანი ნავსადგურის ინფრასტრუქტურის პროექტირება და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები დაიწყო.

## ● 2024 წლის ნოემბერი

გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი ანაკლიის ნავსადგურის წყლის ინფრასტრუქტურის პროექტირებისა და სამშენებლო სამუშაოების (Design & Build) სახელმწიფო მომსახურების შესყიდვის მიზნით.

## 2024 წელი

სახელმწიფო ბიუჯეტით 2025 წელს ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის მშენებლობაზე 150 მილიონი ლარის დახარჯვა დაიგეგმა. 2025 წლის პირველი ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, “ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის განვითარების” პროექტისთვის დადგენილი წლიური გეგმა 154 მილიონ ლარს შეადგენდა. 2025 წლის იანვარ-ივნისის თვეებში კი, პროექტისთვის 50.3 მილიონი ლარი დაიხარჯა.

## 2025 წლის იანვარი

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმთან ხელშეკრულების დადების პროცესი “ინტენსიურ ფაზაშია”.

## 2025 წლის იანვარი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ პორტის სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია და პარალელურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები პოტენციურ კერძო ინვესტორთან.

## 2025 წლის ივნისი

“ანაკლიის საზღვაო ნავსადგურსა” და იტალიურ-ბელგიურ ერთობლივ საწარმოს “ტექნიტალი და ჰაედესი” შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კომპანია განახორციელებს ანაკლიის ღრმანწყლოვანი ნავსადგურის წყლის ინფრასტრუქტურის პროექტირებას და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას. ტენდერის პირობების მიხედვით, “ანაკლიის საზღვაო ნავსადგურსა” და შერჩეულ კომპანიას შორის კონტრაქტის საცდელ ვადად 970 დღე განისაზღვრა.

## 2025 წლის სექტემბერი

ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ “მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს” და “არის ექვსი ძირითადი საკითხი, რომელიც ინვესტორთან დაზუსტებას საჭიროებს”.

## 2025 წლის დეკემბერი

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ განაცხადა, რომ ანაკლიის ღრმანწყლოვანი პორტის ინფრასტრუქტურის სამშენებლო ღირებულება, სავარაუდოდ, უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე თავდაპირველად იყო განსაზღვრული. კერძოდ, 2026 წლისთვის, პროექტისთვის 50 მილიონი ლარის გამოყოფა იგეგმება, რაც, პორტისთვის 2025 წელს გამოყოფილ ბიუჯეტთან შედარებით, 100 მილიონი ლარით ნაკლებია.

## 2025 წლის დეკემბერი

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმთან მოლაპარაკებები გრძელდება და მხარეები “რამდენიმე გამოკვეთილ საკითხზე” მსჯელობენ.

# მუდმივად გაღებულ კოეჩვი -

## რომის დასაწყობება ანაკლიის პორტის მშენებლობა?

### 2017 წლის დეკემბერი

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ანაკლიის პორტში 2020 წელს იგეგმება პირველი დიდი მოცულობის გემების მიღება.

### 2023 წლის დეკემბერი

პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობა 2024 წლიდან დაიწყება.

### 2024 წლის ოქტომბერი

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ანაკლიის პორტის პროექტის პირველი ფაზის სამუშაოები 2029 წლისთვის დასრულდება და პორტი პირველ გემებს 2029 წლისთვის მიიღებს.

### 2025 წლის იანვარი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა განაცხადა, რომ პორტი 2028 წელს მიიღებდა პირველ გემებს.

### 2025 წლის აპრილი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ “მიუხედავად იმისა, რომ ნავსადგურში პირველი გემების შემოსვლის თარიღად 2028 წელი იყო დასახელებული, შესაძლებელია, პორტმა გემების მიღება 2027 წლის ბოლოსაც შეძლოს.”

### 2025 წლის ნოემბერი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ ანაკლიის ნავსადგური პირველ ფაზაში (2029 წ) 600 000 TEU-მდე, მეორე ეტაპზე (2035 წ) მინიმუმ 1 მილიონ TEU-ს დაამუშავებს.

### 2025 წლის დეკემბერი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, მარიამ ქვრივიშვილმა განაცხადა, რომ 2029 წელს ანაკლიის ღრმანყოფილვანი პორტი იქნება მზად, მიიღოს პირველი გემი და ტვირთების დამუშავება დაიწყოს.

### 2025 წლის დეკემბერი

კონტრაქტი არ არის ხელმოწერილი  
ვადები დარღვეულია  
ბიუჯეტი...  
დაფინანსება ...

